კონკურსი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული საჯარო მოხელეებისთვის

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 48-ე მუხლების შესაბამისად, სამინისტროს სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონის ტერიტორიული ორგანოს მოქალაქეებთან ურთიერთობის სამსახურის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე **გადაყვანის მსურველი მოხელის გამოსავლენად** აცხადებს კონკურსს სამინისტროს სისტემაში (ჰორიზონტალური გადაყვანა).

კონკურში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროსა და მის ტერიტორიულ ორგანოებში დასაქმებულ, ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი/მსგავსი ფუნქციების მქონე III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტებს.

ვაკანტური თანამდებობის ფუნქციები:

- შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში დევნილთა მომსახურება კომპეტენციის ფარგლებში;
- შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში საინფორმაციო კამპანიების წარმოებაში მონაწილეობის მიღება;
- დახმარების გაწევის მიზნით, მოქალაქეთა მიღება და კონსულტირება;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის (დევნილი ოჯახი) სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლის (ბინათ მესაკუთრეთა ამხანაგობის რაიონული მიმაგრების შესაბამისად) ხელშეწყობა.

დაინტერესებულმა კონკურსანტმა მიმდინარე წლის 7 ივლისის ჩათვლით „edocument-ში“ უნდა გამოაგზავნოს განცხადება.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომერზე - 597023113.